მონიტორინგის ანგარიში № 04 - 2021

ორგანიზაციის დასახელება	შპს „ბლექ სი შიპინგ რეგისტერი“
აუდიტორები	მარია პოლიაკოვა, დავით ჯინჭარაძე, ირაკლი სირაბიძე, , ნინო ასათიანი
აუდიტის თარიღი	21.07.2021
მისამართი	საქართველო, ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქუჩა №108
აუდიტის ტიპი	გეგმიური მონიტორინგი
წინა აუდიტის თარიღი	01.06.2021

<u>განმარტებები:</u>

შეუსაბამობა - სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.
შენიშვნა - დარღვევა, რომელიც გამოწვეულია მექანიკური შეცდომით ან მოხდა ერთჯერადად და არ მოქმედებს საბოლოო შედეგზე.
რეკომენდაცია - რჩევა პოტენციური შეუსაბამობის და შენიშვნის თავიდან ასარიდებლად.

შესავალი:

მიმდინარე წლის 21 ივლისს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმიური მონიტორინგი ჩაუტარდა აღიარებულ ორგანიზაციას. მონიტორინგი ასევე ითვალისწინებდა 2021 წლის 01 ივნისს მონიტორინგის დროს დაფიქსირებული შენიშვნებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრის ადგილზე გადამოწმებას.

2020 წლის მონიტორინგის შენიშვენბის შესრულების სტატუსი:

2021 წლის 01 ივნისს ჩატარებული მონიტორინგის დროს დაფიქსირებულ 4 შენიშვნა / 2 შეუსაბამობა აღმოფხვრილია.

შედეგები:

1. **შემაჯამებელი მიმოხილვის შედეგები.**
2021 წლის 21 ივლისის შემოწმების დროს შემოწმდა შემაჯამებელი მიმოხილვის დოკუმენტი BSSR-3-0015. დოკუმენტი მოიცავს სტანდარტის თითქმის ყველა პუნქტს. მაგლაითად, წარმოდგენილია 25.06.2021 ჩატარებული შიდა აუდიტის მასალები. ყველა შეუსაბამობის ანგარიში ხელმოწერილია, დათარიღებულია და იდენტიფიცირებულია ხარისხის მართვის სისტემის მოთხოვნის გათვალისწინებით (BSSR-3-0010 - შიდა აუდიტის ანგარიში სრულყოფილია და მოიცავს ყველა აუცილებელ პუნქტს). იქიდან გამომდინარე, რომ 2021 წლის პირველი კვარტლის შემდგომ მოხდა დაინტერესებული მხარეებისა და მათი მოთხოვნა და მოლოდინის განსაზღვრა, 25 ივნისისთვის აღნიშნული მონაცემების მონიტორინგი არა მიზანშეწონილი იყო. შემაჯამებელი მიმოხილვა მოიცავს მოხმარებლების შეფასებას, კერძოდ, წარმოდგენილია 4 კომპანიის უკუგება BSSR-3-0012. მაგრამ, შემაჯამებელი მიმოხილვის ანგარიში არ შეიცავს საზოგადოებაში რეგისტრირებული მცურავი საშუალებების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის სრულფასოვანი ანალიზი კი პირდაპირ დაკავშირებულია ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურ წარმართვასთან. შემაჯამებელი მიმოხილვის ანალიზი პასუხობს ძირითად მოთხოვნებს, მაგრამ უმჯობესია შემომავალ მონაცემებში შეტანილ იქნას ყოველწლიური სტატისტიკა დარეგისტრირებული მცურავი საშუალებების შესახებ, რადგან აღნიშნული ინფორმაცია იძლევა საშუალებას გაანალიზო წლიდან წლამდე ორგანიზაციის საქმიანობის ტენდენციას. ასევე, აღნიშნული მონაცემის დეტალური ჩაშლა / დამუშავება დაინტერესებული მხარეების მოთხოვნა /მოლოდინს უფრო ნათლად აჩვენებს, რაც საბოლოო ჯამში მისცემს ორგანიზაციას სრულფასოვანი ანალიზის გაკეთებას.
ფიქსირდება რეკომენდაცია.

2. **საქმიანობის დაგეგმარება.**
დაგეგმარებასთან დაკავშირებით კომპანიამ წარმოადგინა წლიური სამოქმედო გეგმა.
შენიშვნა არ გაგვაჩნია. ფასდება დადებითად.

3. **სერვის პროვაიდერების პროცედურა.**
სააგენტოს მიერ მოთხოვნილ იქნა აღიარებული ორგანიზააცის მიერ აღიარებული/ავტორიზებული სერვის პროვაიდერების მონაცემები და აღიარების პროცედურა, რომლებიც ჩართულნი არიან სხვადასხვა საქმიანობაში, მაგალითად: ჰიდრავლიკური გამოცდები, სამაშველო ტივების შემოწმება, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების (ცეცხლმაქრის) შემოწმება და სხვა. ორგანიზაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი პროცედურა თუ სახელმძღვანელო აღიარება /ავტორიზაციასთან დაკავშირებით. ორგანიზაციამ წარმოადგინა შემუშავებული პროცედურა, რომელიც არ იყო სრულყოფილად გაწერილი.

რეკომენდაცია: გაიწეროს შესაბამისი პროცედურა სრულყოფილად.

4. **სამუშაო გარემო.**
მოწესრიგებულია სამუშაო გარემო, გადასულია 2 ოთახიან ბიზნეს სივრცეში, ორგანიზაციამ წარმოადგინა მიმდინარე წლის 25 ივნის გაფორმებული N25/06/21 იჯარის ხელშეკრულება
ფასდება დადებითად.

5. **სააგენტოს ცირკულარი : № 25/CIRC/FSI**
შემოწმებული იქნა მშენებარე გემების პირადი საქმეები სააგენტოს ცირკულარი N25/CIRC/FSI შესაბამისად. კერძოდ:
ა) შპს „აისბერგი" - 2021 წლის 14 აპრილს, თურქეთში დაგეგმილი მშენებარე გემის თაობაზე, აღიარებულმა ორგანიზაციამ მიიღო წერილი მშენებარე გემის კლასშის აყვანასთან დაკავშირებით. 2021 წლის 17 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება და 19 მაისს ეცნობა სააგენტოს. 2021 წლის 20 აპრილს და 8 ივლისს განხორციელდა გემის შემოწმება.

ბ) შპს „თემო" - 2021 წლის 07 აპრილს აღიარებულმა ორგანიზაციამ მიიღო წერილი გემის კლასშის აყვანასთან დაკავშირებით. 2021 წლის 13 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება და 08 აპრილს ეცნობა სააგენტოს. 2021 წლის 21 აპრილს განხორციელდა გემის შემოწმება.
ფასდება დადებითად.

6. **სურვეერები**
არიარებულ ორგანიზაციასი მოთხოვნილი იქნა კონკრეტული ვადები მათი სურვეერების სერტიფიცირების განახლებასთან დაკავშირებით, ყოველ წლიურად იცვლება საერთაშორისო საზღვაო ინსტრუმენტებსი მოთხოვნები რომლებიც პირდაპირ კავშირშია საზღვაო უსართხოებასთან, უშიშროებასთან და გარემოს დაცვასთა, მონიტორინგის წევრებს მიზანშეწოლილად მიაჩნია რომ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შესაბამისის მოთხოვნა სურვეერების კვალიფიკაციის და კომპეტენციის განახლებასთან დაკავსირებით. ორგასნიზაციამ ვერ წარმოადგინა თუ რამდენ წელსი უნდა განაახლოს სურვეერბმა მათი კვალიფიკაცია და კომეპეტენცია.
ფიქსირდება შენიშვნა.

დასკვნა:

2021 წლის აუდიტებმა დაადასტურა ის რომ აღიარებული ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს და იხვეწება მათი საქმიანობა, ასევე საქმიანობასთან დაკავშირებული შენიშვნა თუ შეუსაბამობა აღმოფხვრილია სრულყოფილად, ითვალისწინებენ სააგენტოს რეკომენდაციებს. ამ პერიოდის განმავლობაში აღიარებულმა ორგანიზაციამ განახორციელა შემდეგი მიმართულებები:

- დაიხვეწა ხარისხის მართვის სისტემა;
- აყვანილ იქნა კონსულტანტი 1 (ერთი) წლის ვადით, ხარისხის სატნდარტის მიმართულებით;
- აყვანილი იქნა ოფის მეჯერი;
- ვებ-გვერდის მოდიფიკაცია;
- გემების საქმეების მოწესრიგება;
- სამუშაო გარემო;
- სააგენტოს მიერ გამოცემული ცირკულარების მოთხოვნების უზრუნველყოფა;
- საქართველოს საზღვაო კოდექსის მოთხოვნების უზრუნველყოფა;
- ვერტიკალური აუდიტის წარმატებით ჩატარება;
- სხვადასხვა პროცესები შემუშავება;
- არსებული პროცესების დახვეწა;
- და სხვა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია რომ აღიარებულ ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს საზღვაო კოდექსიდან გამომდინარე შიდა ნაოსნობაში ჩართული გემების ტექნიკური ზედამხედველობა და გაუგრძელდეს ხელშეკრულება არაუმეტეს 3 წლით სააგენტოს მონიტორინგით, შემდეგი პირობებით, პირველ წელს მონიტორინგი ჩაუტარდებათ ორჯერ (2022 წლის აგვისტომდე), მეორე და მესამე წელს ჩაუტარდებათ წელიწადში ერთხელ, ხოლო რაც შეეხება ვერტიკალურ აუდიტს ჩაუტარდებათ ყოველ წელიწადსი ერთხელ.

მონიტორინგის ჯგუფის წევრების (ხელმოწერები):

დავით ჯინჭარაძე _____

ირაკლი სირაბიძე _____

მარია პოლიაკოვა _____

ნინო ასათიანი _____

ანგარიშის ჩაბარების თარიღი: _____ 22 სექტემბერი 2022 წელი

ორგანიზაციის წარმომადგენელი (სახელი, გვარი, ხელმოწერა):